თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-306220-25
11 / 12 / 2025

შპს „ედესი ჯგუფი“-ს წარმომადგენელს ლადო ჭანტურიას

ბატონო ლადო,

თქვენი მიმდინარე წლის 27 ნოემბრის №01-01-306220-25 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, იუმაშევის ქუჩა №23დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.26.004.225) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს ''თბილისი ენერჯი''-ს კუთვნილი მიწისქვეშა **D=150 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენი. ასევე, ნაკვეთის მიჯნაზე ფიქსირდება მიწისზედა **D=100 მმ-იანი** და **D=200 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენს მიერ წარმოდგენილი და შპს „თბილისი ენერჯი“-ს მიერ შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად (შეზღუდვა მიწისქვეშა **D=150 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე **4 (ოთხი)** მეტრი).

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის მიჯნაზე არსებული მიწისზედა **D=100 მმ-იანი** და **D=200 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენებთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.

სამუშაოების წარმოების ეტაპზე, გაზსადენის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა შეაჩეროთ სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი“-ს.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში



შეთანხმებულია

შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD

ტექნიკური დოკუმენტაცია

სარეგისტრაციო № 01-01-306220-25

10 | დეკემბერი 20 25 წ.